ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7377930

ნომერი: AR11075951

თარიღი : 02.02.2025

გაცემის თარიღი : 13.02.2025

გაცნობის თარიღი : 13.02.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით მუნჯიშვილი პ/ნ 01030031279
- ვაზისუბანი 3 მ/რ. 1 კვ. 1 კორპუსი, ბინა 14

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 02 თებერვლის №AR11075951 განცხადებით მომართა დავით მუნჯიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7257990 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7257990 ბრძანებით, №81.08.16.810 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა საწყობის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2024 წლის 6 ნოემბრის №7271510 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 6 ნოემბრიდან 2026 წლის 6 ნოემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7257990 ბრძანებით შეთანხმებულ კონსტრუქციულ პროექტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მე-11 გვერდზე შეცდომით არის მითითებული სვეტის ნუმერაცია და არმატურის დიამეტრი. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილ კონსტრუქციულ ნახაზზე კვლავ შეცვლილია არმატურის დიამეტრი. აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას. არმატურის დიამეტრის ცვლილებისთვის საჭიროა სამსახურს მომართოთ შეთანხმებული პროექტის ცვლილების (კორექტირების) მოთხოვნით და წარმოადგინოთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების და სამსახურის 2024 წლის 21 ოქტომბრის №7257990 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.